# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**კ. ნ. N 03-13**

ქ.თბილისი 03.10.2013წ.

**ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის იოსებ ქადაგიშვილის სახით, შემდგომში: შემსყიდველი, და შპს საქ გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი "საქგზამეცნიერება", მისი გენერალური დირექტორის თამაზ შილაკაძის სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორეს მხრივ,,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ"ქვეპუნქტის, 10² მუხლის პირველი პუნქტის და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით გამოცხადებული კონკურსის (N 886) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

**<u>მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი</u>**

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის (CPV 71320000) განხორციელება - შემდგომში მომსახურება.

**<u>მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>**

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს 483050.85 (ოთხას ოთხმოცდა სამი ათას ორმოცდაათი ლარი და 85 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 570 000.00 ( ხუთას სამოცდაათი ათასი ლარი) ლარს.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.5 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციას. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი

რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 25 დღის განმავლობაში.

2.6 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.7 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.

2.8 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.

2.9 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.10 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.11 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.12 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.13 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$d = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

d =არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A=წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X=წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y =არის(X)წინა პერიოდისათვის.

2.14 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.13 პუქნტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.15 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

2.16 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

<u>მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა</u>

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგერთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

<u>მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1. მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, სატენდერო დოკუმენტაცია, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების (მაგრამ მიმწოდებლისაგან დასრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 28 დღისა) შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზეედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.

4.2. წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ამ დოკუმენტაციაზე გაწეული მომსახურების ღირებულების 10%. მიმწოდებლის მიერ ცალკეული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენიდან აღნიშნული თანხის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 (ორ) წელს (საგარანტიო პერიოდი). აღნიშნული თანხის დაბრუნება (გარდა ამ მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევისა) საგარანტიო პერიოდის გასვლამდე მოხდება შემდეგ ერთ-ერთ შემთხვევაში:

ა) აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკურ საბჭოზე განხილვის ან/და საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადებითი დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, 1 (ერთი) თვის განმავლობაში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სამუშაოები განხორციელდა 2 (ორ) წელზე (საგარანტიო პერიოდზე) ნაკლებ ვადაში, დაკავებული თანხა ანაზღაურდება სამუშაოების განხორციელებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში;

4.3. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

4.5. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

4.6. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შემოწმების, გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ურთიერთშეთანხმებულ ვადებში.

4.7. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

<u>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 15 დეკემბრამდე;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრილების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა;

ვ) საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის (საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების განმახორციელებელი მიმწოდებლის) მხრიდან წარმოდგენილ პროექტში შესატანი ცვლილების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ამ ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხდავად;

ზ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;

თ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე, თანახმად ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.4. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

5.5. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი შემსყიდველთან შეთანხმებით, გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის

მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის/ების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

<u>მუხლი 7. პასუხისმგებლობა</u>

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ან ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების ღირებულების 3 (სამი) პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 1 000 (ათასი) ლარისა არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

<u>მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია</u>

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ

წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.7 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურება შეესაბამება ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების პირობებს.

**9. ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

**<u>მუხლი 10. სამართლმემკვიდრეობა  და უფლებამონაცვლეობა</u>**

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა, როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისათვის.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

**<u>მუხლი 11. სუბკონტრაქტორები</u>**

11.1 მომსახურების გაწევის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა  წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

11.3 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

11.4 მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

11.5 მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს დამატებით აიყვანოს სპეციალისტი (ები), მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით.

**<u>მუხლი 12. შეტყობინება</u>**

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული  მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**<u>მუხლი 13. ინსპექტირება</u>**

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების და მისი დანართების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი

ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ამავე დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს.

13.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა.

<u>მუხლი 14. სხვა პირობები</u>

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

14.3 იმ შემთხვევაში, 3თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.4 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.5 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები (პროცენტი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.7 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.9 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, სპეციფიკაციები) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 15 იანვრამდე, გარდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულბის მოქმედების ვადაზე.

**მუხლი16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**შემსყიდველი:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,

| | |
|---|---|
| მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 211 343 982 |
| საბანკო რეკვიზიტები: | სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის N 200122900. |

ხელმოწერა

ბ.ა.

იოსებ ქადაგიშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს საქ გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი "საქგზამეცნიერება"

| | |
|---|---|
| მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. N 8 (ა) |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 212 272 208 |
| საბანკო რეკვიზიტები: | სს „საქართველოს ბანკი, ბ/კ BAGAGE22, ანგარიშის N GE16BG 0000000265723001 |

ხელმოწერა

ბ.ა.

თამაზ შილაკაძე

**ტექნიკური დავალება**

**მუხლი 1**

**გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი**

**1.1 გასაწევი მომსახურება:**

**საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.**

**აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზების პერიოდულ შეკეთებას მასზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების (კედელი, მილი, ხიდი, გზაგამტარი და სხვა) ჩათვლით.**

**1.2 მომსახურების სახეობა:**

**ა). საველე - საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;**

**ბ). საპროექტო სამუშაოები: საპროექტო დოკუმენტაცია, ან დეფექტური უწყისი;**

**გ). სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება და ობიექტის საავარაუდო ღირებულების დადგენა;**

**დ). სატენდერო დოკუმენტაციების მომზადება;**

**მუხლი 2**

**მომსახურების გაწევის ვადები**

**2.1 მომსახურების გაწევის ვადები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით;**

**2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.**

**2.3 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვადების მიხედვით.**

**2.4 ყოველ კონკრეტულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად ტექნიკურ დავალებებს გასცემს დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.**

**2.5 საჭირო შემთხვევაში, წლიური დაფინანსების ფარგლებში, პროექტების დამუშავების თანმიმდევრობა და თითოეული პროექტის შესრულების ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.**

**2.6 ვინაიდან ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის (მიმწოდებლის) სატენდერო წინადადება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელი**

ხელმძღვანელობს მისივე სატენდერო წინადადებაში მოცემული და შემსყიდველთან შეთანხმებული გრაფიკით განსაზღვრული ვადებით.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადები სცილდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე მიმწოდებელს და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე ახალი გრაფიკის შედგენის შესაბამისი დანართის გაფორმებით.

## მუხლი 3

## ტექნიკური დავალება

3.1 ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

3.2 ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს დაბალი ფასის მქონე მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

3.3 საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

ა) საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება;

ბ) ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;

გ) ტომებად, წიგნებად დამატებითი ეგზემპლიარების აკინძვა;

დ) პროექტის კორექტირება;

ე). ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა;

**შენიშვნა:** საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენა ყოველ კონკრეტულ პროექტზე განისაზღვრება ტექნიკური დავალებით.

## მუხლი 4

## დავალების შემადგენლობა

4.1 საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

4.2 პროექტების ჩამონათვალი და მოცულობები გადაეცემა მიმწოდებელს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წლიური პროგრამის შესაბამისად.

4.3 თითოეული პროექტის ჩაბარების ვადები განისაზღვრება თითოეული ამ პროექტის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით.

4.4 საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: წლიური დაფინანსების მოცულობის შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს

მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია წლიური მოცულობის შეუსრულებლობის გამო.

4.5 ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევაძიებო სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას.

4.6 გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესების და სამუშაოების ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ყოველი კონკრეტული საავტომობილო გზის პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს "საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის #172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით.

ბ) საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);

გ) პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

## მუხლი 5

## სამუშაო ადგილის მომზადება

5.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებზე და ტექნიკაზე.

## მუხლი 6

## მოძრაობის ორგანიზაცია

6.1 რათა ეფექტურად იყოს დაცული მშენებლობაზე მომუშავე პერსონალის და მესამე პირის უსაფრთხოება, შესასრულებელი სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ნორმებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.

6.2 საჭირო შემთხვევებში დასაშვებია გზების მონაკვეთების ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა.

## მუხლი 7

## დავალების შესრულების წესი

7.1 დავალების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით, ტექნიკური დავალებით, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციებით, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობებით, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით.

## მუხლი 8

## ნორმატიული დოკუმენტები

8.1 საპროექტო მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმების, სტანდარტებისა და წესების, აგრეთვე ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად. სატენდერო დოკუმენტაციები უდნა შედგეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნების დაცვით.

## მუხლი 9

## კუთვნილება

9.1 ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და წარმოადგენს მის საკუთრებას.

9.2 მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების  უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასაწარი თანხმობის  გარეშე.

9.3 ხელშეკრულების პირობებით მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს პროექტის ნაწილის ან სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

## მუხლი 10

## საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის რაოდენობა

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია. გადასაცემი საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით:

10.2 საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა). საპროექტო დოკუმენტაცია - 3 ეგზემპლიარი;

ბ). სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 2 ეგზემპლიარი;

გ). სატენდერო დოკუმენტაცია - 8 ეგზემპლიარი;

დ). პროექტის ელექტრო ვერსია - 2 ეგზემპლიარი;

## მუხლი 11.
## საავტორო ზედამხედველობის განხორციელების წესი

11.1 ცალკეულ ობიექტების მიხედვით, საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი გაუწევს საავტორო ზედამხედველობას, ამ სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების ჩათვლით.ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში,საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი განახორციელებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების თანახმად, შესაბამისი საავტორო ზედამხედველობის ჟურნალის წარმოებით.

## მუხლი 12.
## საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საავარაუდო ღირებულება

2013-2014 წლების განმავლობაში (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი) შესასრულებელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამშენებლო სამუშაოების საავარაუდო ღირებულება - 30 მლნ. ლარი

**მუხლი 1.**
**მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციები**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013-2014 წლების პროგრამით გათვალისწინებული საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოების ჩამონათვალი და მისი სავარაუდო ღირებულებები ყველა შემთხვევაში განისაზღვრება საპროექტო მონაკვეთზე არსებული ფაქტობრივი საგზაო და საექსპლუატაციო სატრანსპორტო პირობებიდან გამომდინარე.**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013-2014 წლების პროგრამით გათვალისწინებული საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.**

**1.1 პერიოდული შეკეთება ითვალისწინებს:**

**პერიოდული შეკეთება ითვალისწინებს საფარის სისწორის, ხორკლიანობისა და საცვეთი ფენის აღდგენას; მიწის ვაკისის ელემენტების, წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობების, მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის დაზიანებების პერიოდულ შეკეთებას ან აღდგენას და მათი თანმდევი სამუშაოების შესრულებას. სამუშაოების შესრულება ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციით ან დეფექტური უწყისით განსაზღვრული მოცულობებისა და ღირებულებების მიხედვით. პერიოდული შეკეთების შედეგად მთლიანად უნდა აღსდგეს გზის საპასპორტო საგზაო პირობები.**

**1.1.1 მიწის ვაკისზე ხორციელდება:**

**ა). ყრილების და ჭრილების ფერდობებზე დაზიანებების გასწორება და ქანობების აღდგენა, ბალახის დათესვა;**

**ბ). ჩამონაშალების, მეწყრებისა და ღვარცოფების გამონატანების გაწმენდა;**

**გ). გვერდულების დაპროფილება, მოშანდაკება და გამაგრება;**

**დ). ტალღებისა და ნაბურცების ლიკვიდაცია;**

**ე). ღორღოვან და ხრეშოვან საფარის გზებზე მიწის ვაკისის გეომეტრიული პარამეტრების და ფერდობების აღდგენა;**

**1.1.2 გზის სამოსზე ხორციელდება:**

**ა). ფრაგმენტულად დაზიანებული საფარის აღდგენა, ორმოების, ტალღების, ბზარების, ნაბურცების ლიკვიდაცია დეფორმირებული საფარის ამოჭრა, ასფალტბეტონის მასის ჩაგება და დატკეპნა. საჭიროების შემთხვევაში საფუძვლისა და საფარის ფენის მოწყობა (პერიოდულ შეკეთებას დაქვემდებარებული ფართის არა უმეტეს 25%-ისა)**

**ბ). შავსაფარიანი სავალი ნაწილის ხორკლიანობის აღდგენა, მონაკვეთის მთელ ფართობზე პერიოდულ შეკეთებას დაქვემდებარებული გზის ერთი კონსტრუქციული ზედა ფენის გადაკვრა ასფალტბეტონით ან სხვა**

ტექნოლოგიების გამოყენებით (სხმული ასფალტბეტონით, ღორღოვან-მასტიკური მასით, ორმაგი ზედაპირული დამუშავებით და სხვა);

გ). ღორღოვანი და ხრეშოვანი საფარების პროფილის აღდგენა ინერტული მასალების დამატებით;

დ). ცალკეულ მონაკვეთებზე ქვაფენილის ხელახალი გადაგება საფუძვლის შეცვლით;

ე). გრუნტის გზების საკალი ნაწილის პროფილის აღდგენა და გაუმჯობესება;

**1.1.3 ხელოვნურ და დამცავ დაგებობებზე ხორციელდება:**

ა). ყველა ხელოვნურ ნაგებობებაზე დაზიანებული ნაწილების შეკეთება, ცალკეული, არამზიდი კონსტრუქციული ელემენტების შეცვლით;

ბ). ხიდების დათვალიერება და გამოკვლევა დაზიანებათა დაფიქსირების მიზნით. კონსტრუქციების სარემონტო სამუშაოების შესრულება (მოაჯირებისა და თვალამრიდების შეკეთება და შეღებვა, საკალი ნაწილისა და ტროტუარების გაწმენდა მიწისა და მცენარეული საფარისაგან და დახაზვა, საყრდენი ნაწილების გაწმენდა და შეღებვა და სხვა), ლითონის ხიდების ცალკეული ელემენტების შეღებვა და ანტისეპტირება;

გ). გალერეების, გვირაბების და ფარდულების მცირე დაზიანებების ლიკვიდაცია, წყალაცილების სისტემების გაწმენდა და მცირედი დაზიანებების ლიკვიდაცია სისტემის სრულყოფილად აღდგენისათვის;

დ). წყალამრიდი ნაგებობების (კიუვეტები, სადრენაჟე სისტემები და სხვა) გაწმენდა მიწისა და მცენარეული საფარისაგან  და დაზიანებათა სრული აღდგენა ცალკეული ელემენტების შეცვლით;

ე). წყალგამტარი მილების სათავისებისა და რგოლების დაზიანებათა ლიკვიდაცია, დანალექი გრუნტებისაგან ხვრეტის გაწმენდა და სრული აღდგენა;

ვ). საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების დაზიანებათა (მდგრადობის დარღვევის გარეშე) აღმოფხვრა;

**1.1.4 მოძრაობის რეჟიმის უსაფრთხოების ტექნიკურ საშუალებებზე და გზის კეთილმოწყობაზე ხორციელდება:**

ა). დაზიანებული ზღუდარების შეკეთება, აღდგენა, ცალკეულ კონსტრუქციული ელემენტების შეცვლით ან განახლება; არსებული დაზიანებული საგზაო ნიშნებისა და მიმმართველი მოწყობილობების აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში ახლის დაყენება.

ბ). ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონიშვნის აღდგენა ან ახალი პროექტით შესრულება.

გ). ტროტუარებისა და საცალფეხო ბილიკების, ავტომანქანების გასაჩერებელი, დასასვენებელი და ღირშესანიშნავი ადგილების აღდგენა და კეთილმოწყობა.

**მუხლი 2.**
**საველე საკვლევაძიებო სამუშაოებზე ჩასატარებელი საორიენტაციო სამუშაოები**

ა) მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება საველე სამუშაოებისათვის;

ბ) საპროექტო გზის ტოპოგეოდეზიური გადაღება (ტრასის სიტუაციური გეგმა);

გ) ტრასის პიკეტაჟი და ნიველირება;

დ) განივი პროფილების გადაღება მრუდეებსა და მთაგორიან ადგილებში 20 მეტრში ხოლო სწორი რელიეფის პირობებში ყოველ პიკეტზე და დამახასიათებელ წერტილებში;

ე) მუდმივი რეპერების მოწყობა ტრასის მისაბმელად პროფილში და დროებითი რეპერების დასმა სწორ ადგილებში ყოველ 1-2 კმ ხელოვნურ ნაგებობებთან, დიდ ხიდებთან მდინარის ორივე მხარეს, დიდ ჭრილებთან/ყრილებთან კი ჭრილის/ყრილის დასაწყისთან ორივე მხარეს;

ვ) რელიეფის ტოპოგრაფიული გადაღებები დამუშავებული უნდა იყოს აბსოლუტურ UTM კოორდინატთა სისტემაში, რომელიც საჭირო იქნება დაპროექტებისათვის;

ზ) ტოპოგრაფიული სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იქნეს სამუშაოების უსაფრთხო წარმოების წესები, განსაკუთრებით არსებულ გზაზე მუშაობისას;

**მუხლი 3.**
**არსებული ნაგებობების აზომვები საკვლევაძიებო სამუშაოების წარმოების დროს**

ა) ჩატარდეს არსებული წყალგამტარი მილების აზომვები ძირითადი ზომებისა და ჭრილების ჩვენებით, ვიზუალურად დადგინდეს მათი მდგომარეობა და ვარგისიანობა მომავალში შესაძლო გამოყენების მიზნით.

ბ) ანალოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს სხვა ხელოვნური და სპეციალური საინჟინრო ნაგებობების შესასწავლად (ხიდები, გვირაბები, გალერეები, ესტაკადები, ვიადუკები, აკვედუკები, ზედა და ქვედა საყრდენი კედლები და სხვა შენობა-ნაგებობები);

გ) დადგინდეს მათი კონსტრუქციების დაზიანებები, ხიდების შეუღლების კონუსების მდგომარეობა, შესრულდეს აზომვითი ნახაზები დაზიანებულ კონსტრუქციულ ელემენტებზე;

დ) აზომილი უნდა იქნას არსებული წყალსადენების და სხვა კომუნიკაციების მდებარეობა საპროექტო ტრასასა და მათი დამაგრების კონსტრუქციები ხიდებზე (გზაგამტარებზე და სხვა)

ე) საჭიროების შემთხვევაში მიბმული იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზები, ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები, დადგინდეს ჩამოთვლილი კომუნიკაციების ტიპები, მასალები, ელექტრო და კავშირგაბმულობის ბოძების ნომრების მიხედვით დადგინდეს მავთულების ჩამოკიდების სიმაღლე უსაფრთხოების ნორმების დადგენისათვის;

**მუხლი 4.**
**კამერალური სამუშაოები**

ა) გზის ტრასის სიტუაციური გეგმა გამოიხაზოს მასშტაბით 1 : 1000, დასახლებულ პუნქტებში, მასშტაბით 1 : 500;

ბ)გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს მასშტაბით 1 : 2000; 1 : 200;

გ)განივი პროფილები გამოიხაზოს მასშტაბში 1 : 100;

დ) სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას არსებული პირობითი ნიშნების შესაბამისად;

**მუხლი 5.**
**ეკოლოგია და ბუნების დაცვა**

ა) საჭიროა შეირჩეს სამუშაოთა წარმოების ისეთი წესები და მეთოდები რაც უზრუნველყოფს არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად შენარჩუნებას;

ბ) საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს აუცილებლობის შემთხვევაში ნოყიერი ზედაპირული ნიადაგის მოჭრა და მისი დროებით გადაადგილება ნაყარში შემდგომი გამოყენების მიზნით; დაინიშნოს ადგილი მისი გამოყენებისათვის განისაზღვროს ზიდვის მანძილი;

გ) დაისახოს ღონისძიებები არსებული გარემოს დაცვისათვის; არ იქნას დაშვებული გარემოს გამაჭუჭყიანებელი ბაზების განლაგება დასახლებული პუნქტების ახლოს, როგორიცაა ასფალტბეტონის ქარხანა, ცემენტობეტონის ქარხანა და ა.შ.

დ) დადგინდეს ტყის და ბუჩქნარების სიხშირე, მოსაჭრელი ხეების დიამეტრები (საჭიროების შემთხვევაში);

ე) დაისახოს ღონისძიებები რათა არ იქნეს დაშვებული ტრასაზე დამუშავებული გრუნტის ჩაყრა მდინარეებში და წყალსაცავებში;

ვ) ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოხდეს ფოტოგრაფირება არსებული შენობა-ნაგებობების, ხიდების, ღირშესანიშნავი ადგილების და ა.შ. პროექტის ილუსტრაციისათვის.

ზ) სამშენებლო ბაზებთან გათვალისწინებულ იქნას წყალგამწმენდი ნაგებობების მშენებლობა, რათა არ იქნას დაშვებული გაუწმენდავი წყლების ჩადინება მდინარეებში და წყალსატევებში;

თ) მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოხდეს დროებით დაკავებული ტერიტორიების გზებით, სამშენებლო ბაზებით და ა.შ. ადგილების რეკულტივაცია;

ი) ბუნების დასაცავად და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებისათვის მიღებული გადაწყვეტილებები შეთანხმდეს სათანადო ტერიტორიულ ორგანიზაციებთან;

კ) ჭრილების და ყრილების ფერდობების გამორეცხვის და მდგრადობის შესანარჩუნებლად გამოყენებულ იქნას ფერდობების გამაგრება ბალახის დათესვით ან სხვა მიზანშეწონილი ღონისძიებებით;

ლ) გათვალისწინებული იქნას ხელოვნური ნაგებობების შესასვლელების და გამოსასვლელების გამაგრება იმ მიზნით, რომ შემდგომში არ შეიქმნას ეროზიის წარმოქმნის შესაძლებლობა;

შესრულების საბანკო გარანტია #PE31466-13

ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2013 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენთიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
კონტრაქტორი: შპს საქ გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი საქგზამეცნიერება (შემდგომში „პრინციპალი")
კონტრაქტორის საიდენთიფიკაციო კოდი: 212272208
კონტრაქტორის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში,გაგარინის,№29ა
ბენეფიციარი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენთიფიკაციო კოდი: 211343982
ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #12
საგარანტიო თანხა და ვალუტა: 17,100 (ჩვიდმეტი ათას ასი) ლარი
კონკურსი: #886-ე

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კონტრაქტორი აფორმებს თქვენთან კონტრაქტს საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე, მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების გაწევის (ქვემოთ, როგორც "კონტრაქტი") შესრულებაზე.

ამასთან ერთად, ჩვენთვის გასაგებია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად აუცილებელია შესრულების გარანტიის არსებობა.

ბენეფიციარის მოთხოვნით, ჩვენ, სს "საქართველოს ბანკი" (სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო), უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომლებიც ჯამში არ აღემატება 17,100 (ჩვიდმეტი ათას ასი) ლარი. თანხის გადახდა მოხდება ჩვენს მიერ თქვენგან პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, რომელშიც მითითებული იქნება, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება (ვალდებულებები), თქვენი მხრიდან მოთხოვნის, ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

მოცემული გარანტიის ვადა იწურება 15 თებერვალი 2015 წელი. შესაბამისად, გადახდის ნებისმიერი მოთხოვნა მოცემული გარანტიის ფარგლებში ბანკის მიერ მიღებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნულ მისამართზე საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

## სატენდერო წინადადების ფასი:

570000 (ხუთასსამოცდაათიათასი) ლარი.

შპს "საქგზამეცნიერების"
გენერალური დირექტორი

თ.შილაკაძე

19.08.13

დანართი №2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს "საქგზამეცნიერება"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი : თამაზ შილაკაძე

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი : ქ. თბილისი, ჯიქიას ქ№8ა

საიდენტიფიკაციო კოდი : 212272208

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი : 54 14 66 ; 8(77) 41 95 56

ელექტრონული მისამართი : Sakgzametsniereba@gmail.com

საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი : **BAGAGE22**

ანგარიშსწორების ანგარიში : **GE16BG0000000265723001**

ანგარიშის ნომერი : **GE16BG0000000265723001**

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 570000 (ხუთასსამოცდაათიათასი) ლარი.

შპს "საქგზამეცნიერების"
გენერალური დირექტორი

თ.შილაკაძე

190813

დანართი 3

*ხარჯთაღრიცხვა*

საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა;

*ძირითადი საპროექტო მომსახურება*

| საპროექტო მომსახურების დასახელება | საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოების საავარაუდო ღირებულება, ლარი | სატენდერო წინადადება | |
|---|---|---|---|
| | | საპროექტო ღირებულება % | მთლიანი საპროექტო ღირებულება, ლარი |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღ-რიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა | – | – | 468981.41 |
| დღგ 18% | – | – | 84416.65 |
| სულ ძირითადი საპროექტო მომსახურება დღგ-ს ჩათვლით | 29 126 213 | | 553398.06 |
| დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების 3%-ს ოდენობით | – | – | 16601.94 |
| მთლიანად | – | – | 570000.00 |

*შპს "საქგზამეცნიერების"*
*გენერალური დირექტორი* *თ.შილაკაძე*

190813

*დამატებითი მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში)*

| დამატებითი მომსახურების დასახელება | განზომილება | ერთეული | სტენდერო წინადადება |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| საავტორო ზედამხედველობა | საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან | % | 10.0 |
| საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება : | | | |
| (სტანდარტული ფორმა A–4): | | | |
| ტექსტი . . . . . | ფურცელი | ლარი | 0.1 |
| ნახაზები . . . . . | ფურცელი | ლარი | 0.15 |
| (სტანდარტული ფორმა A–3) : | | | |
| ტექსტი . . . . . | ფურცელი | ლარი | 0.2 |
| ნახაზი . . . . . | ფურცელი | ლარი | 0.25 |
| ტომებად, წიგნებად დამატებითი ეგზემპლიარების აკინძვა . . . . | 1 წიგნი | ლარი | 3.5 |
| პროექტის კორექტირება | სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან | % | 0.75 |
| ხარჯთაღრიცხვის გადაანგარიშება | საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან | % | 1.5 |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება | საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან | % | 10.0 |
| განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება | საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან | % | 5.0 |
| თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით | გვერდი | ლარი | 20.0 |

*შპს "საქგზამეცნიერების"*
*გენერალური დირექტორი* *თ.შილაკაძე*

19 08 13